



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

## აბულაძე ცისანა ალექსანდრეს ასული

აბულაძე ცისანა ალექსანდრეს ასული (დ. 16. VI. 1933, ქუთაისი), თურქოლოგი, ისტორიულ მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991).

დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1956). ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნ-ტის თურქოლოგიის კათედრის გამგე (1995-2005), ამავე უნ-ტის თურქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2014-იდან).

პ. კეკელიძის სახ. საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1958-იდან). მუშაობს საქართვ. ისტ. ოსმალურ. წყაროებზე. იკვლევს სტამბოლსა და იერუსალიმში დაცულ წმ. მიწის ქართ., სამონასტრო თემის ისტორიის XVI-XVIII სს. ოსმ. საბუთებს და აქვეყნებს ქართ. თურქ., ინგლ. და რუს. ენებზე. ავტორია წიგნებისა: „სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები“ (1968), „ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი“ (1969, თანაავტორები: რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი), თურქულენოვან ხელნაწერთა კატალოგი (2004, თანაავტორი მ. ილურიძე), გურჯიბადე, „თბილისის დაპყრობის წიგნი“ თურქული ტექსტი ქართ. თარგმანით და გამოკვლევით, 1979, თანაავტორი მ. სვანიძე, რ-იც დაჯილდოებულია საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის პრემიით, „თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის“ (1983), „საქართველოს ისტორიის XV-XVIII სს. ოსმალური დოკუმენტები და ნარატიული წყაროები“ (რუსულ ენაზე 1989), მოხატული ისტ. დოკუმენტები საქართვ. სიძველეთსაცავებიდან (თანაავტორები: დ. კლდიაშვილი, თ. აბულაძე, გ. სიხარულიძე, ი. კოშორიძე, 2011).

გ. ჭიქია

